მასთერქარდის ფინანსური განათლების პლატფორმა საქართველოსთვის (“MFET საქართველო“)

გამოყენების პირობები:

გთხოვთ „MFET საქართველო“-ს გამოყენებამდე ყურადღებით გაეცნოთ ამ დოკუმენტს. თუ პირობებს არ ეთანხმებით, გთხოვთ არ ისარგებლოთ „MFET საქართველო“-თი.

---

1. <u>რას ეთანხმებით „MFET საქართველო“-ს გამოყენებისას</u>. „MFET საქართველო“-ს გამოყენებით ეთანხმებით ამ დოკუმენტის პირობებს. ამასთან, ეთანხმებით ყოველ შემდეგ პირობას:

(ა) პირდაპირი წესით გააფორმოთ სამართლებრივად სავალდებულო კონტრაქტი Mastercard International Inc.-თან („მასთერქარდი“), რომლითაც მოგეთხოვებათ ამ დოკუმენტის პირობების დაცვა;

(ბ) უფლება გაქვთ აიღოთ ვალდებულებები და თქვენზე არ ვრცელდება კანონები, რომლებიც ხელს გიშლით მასთერქარდთან სამართლებრივად სავალდებულო კონტრაქტის გაფორმებაში (მაგალითად: ხართ სამართლებრივად სავალდებულო ხელშეკრულებების გაფორმებისთვის საჭირო ასაკის).

ამ დოკუმენტის პირობების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს მასთერქარდის მიერ თქვენს მიმართ სამართლებრივი ზომების მიღება.

2. <u>ვინ უზრუნველყოფს „MFET საქართველოს“</u>? „MFET საქართველო“ მომსახურებას გაწევს Mastercard Europe SA (ან მისი ერთ-ერთი შვილობილი კომპანია).

3. <u>რა არის „MFET საქართველო“</u>? „MFET საქართველო“ ციფრული პლატფორმაა, რომელის მიზანია ფინანსური კეთილდღეობის შექმნა. პროდუქტი შემუშავებულია Mastercard Foundry-ის მიერ და განკუთვნილია მცირე ბიზნესის მფლობელებისთვის შესაბამისი პერსონალიზებული ფინანსური სასწავლო მასალის მიწოდებაზე, ფინანსების უკეთ მართვაში დასახმარებლად. „MFET საქართველოს“ მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ინდივიდუალური მომხმარებლების და მცირე ბიზნესის მფლობელების მიერ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უნარების განვითარებას და გამოყენებას.

4. <u>„MFET საქართველოს“ სერვისები</u>. პერიოდულად, მასთერქარდს შეუძლია „MFET საქართველოს“ მეშვეობით გაწიოს სხვა კომპანიების სერვისები. მასთერქარდი არ არის პასუხისმგებელი ასეთ სერვისებზე და მხოლოდ ხელს უწყობს თქვენსა და

პროვაიდერს შორის ურთიერთობას. თუ გადაწყვეტთ მესამე მხარის რომელიმე სერვისით სარგებლობას, გთხოვთ მომსახურებაზე დათანხმებამდე დეტალურად გაეცნოთ ამ კომპანიის პირობებს.

5. „MFET საქართველოს“ ხელმისაწვდომობა. მასთერქარდს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს „MFET საქართველო“ და მისი მეშვეობით გაწეული სხვა სერვისები. არ გპირდებით, რომ შევინახავთ ან გავაგრძელებთ ინფორმაციის ან კონტენტის ჩვენებას. არ გვაქვს ვალდებულება შევინახოთ ან გადმოგცეთ თქვენს მიერ მოწოდებული ნებისმიერი კონტენტის ან ინფორმაციის ასლი, გარდა იმ მასალისა, რომლის გაცემაც მოქმედი კანონმდებლობით სავალდებულოა და მითითებულია „MFET საქართველოს“ კონფიდენციალურობის პირობებში. მასთერქარდს შეუძლია ნებისმიერ დროს გააუქმოს ან შეაჩეროს წვდომა „MFET საქართველოზე“, ან შეწყვიტოს ამ პირობების მოქმედება, თუ დაარღვევთ პირობებს, ან სხვა მიზეზის გამო.

6. როგორ უნდა ისარგებლოთ „MFET საქართველოთი“. „MFET საქართველოზე“ წვდომის და სარგებლობისთვის, უნდა შექმნათ ანგარიში ავტორიზაციის საკუთარი მონაცემებით. ანგარიში გეკუთვნით მხოლოდ თქვენ და პასუხისმგებელი ხართ ანგარიშზე წვდომაზე და გამოყენებაზე. აკრძალულია თქვენს ანგარიშში შესვლისთვის საჭირო მონაცემების სხვებისთვის გაზიარება. შეგიძლიათ „MFET საქართველოთი“ ისარგებლოთ (i) თქვენი სახელით, (ii) დანიშნულებისამებრ, მე-3 მუხლის შესაბამისად და (iii) არა თაღლითური და ეთიკური ფორმით.

7. ცვლილებები „MFET საქართველოში“ და ამ ინსტრუქციაში. თანახმა ხართ, რომ მასთერქარდს შეუძლია ნებისმიერ დროს შეცვალოს „MFET საქართველოს“ ფუნქციები. მასთერქარდს უფლება აქვს პერიოდულად განაახლოს ეს ინსტრუქცია. განახლებები გავრცელდება „MFET საქართველოზე“ წვდომაზე და გამოყენებაზე. „MFET საქართველოთი“ უწყვეტად სარგებლობა ნიშნავს, რომ ეთანხმებით განახლებებს. რეკომენდირებულია ხშირად შეამოწმოთ ეს ინსტრუქცია, განახლებების შესახებ ინფორმირებულობისთვის.

8. თქვენი პასუხისმგებლობა და ფინანსური ვალდებულება მასთერქარდის მიმართ. „MFET საქართველოს“ გამოყენებით, ეთანხმებით ამ დოკუმენტის პირობებს. პირობების დარღვევის შემთხვევაში, მასთერქარდის მიერ თქვენგან დასაბრუნებელი თანხის ლიმიტი არ წესდება.

9. მასთერქარდის პასუხისმგებლობა და ფინანსური ვალდებულება თქვენს მიმართ. „MFET საქართველო“ არ ითვალისწინებს გარანტიებს და მოქმედებს მოცემული კონფიგურაციით და ფორმით, რაც ნიშნავს, რომ არ ვიძლევით გარანტიას, რომ „MFET საქართველო“ იმუშავებს ისე, როგორც დაგეგმილი და განზრახული იყო, ან რომ „MFET საქართველოს“ არ ექნება ხარვეზები, გამოყენება იქნება უსაფრთხო და სანდო. „MFET საქართველოთი“ სარგებლობთ საკუთარი რისკით. „MFET საქართველოში“

შეტანილი ინფორმაცია განკუთვნილია მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისთვის. კანონის ფარგლებში, (I) მასთერქარდი არ არის პასუხისმგებელი არაპირდაპირ, შემთხვევით, განსაკუთრებულ, თანმდევ ზარალზე, მოგების და შემოსავლის დანაკარგზე (II) „MFET საქართველოსთან“ მიმართებაში მასთერქარდის მთლიანი პასუხისმგებლობა არ უნდა აღემატებოდეს 100 აშშ დოლარს, მიუხედავად პასუხისმგებლობის გამომწვევი მიზეზისა (დაუდევრობის, კონტრაქტის დარღვევის, წესების დარღვევის, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენის ან ნებისმიერი სხვა მიზეზის ჩათვლით).

10. <u>როგორ ვიყენებთ პერსონალურ ინფორმაციას</u>. მასთერქარდი პასუხისმგებლობით ეკიდება კონფიდენციალურობის საკიტხს. დამატებითი ინფორმაცია, თუ როგორ ვიყენებთ თქვენს მიერ „MFET საქართველოს“ მეშვეობით მოწოდებულ პერსონალურ ინფორმაციას, იხილეთ „MFET საქართველოს“ კონფიდენციალურობის განცხადებაში.

11. „MFET საქართველოს“ საკუთრება. თქვენთვის ცნობილია და თანახმა ხართ, რომ „MFET საქართველო“ და მასთან დაკავშირებული უფლებები და საკუთრება (მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების უფლება) ეკუთვნის მასთერქარდს ან მის ლიცენზიანტებს. მასთერქარდი გასცემს არაექსკლუზიურ, არა გადაცემად, არა ქველიცენზირებად, გაუქმებად ლიცენზიას „MFET საქართველოს“ მე-6 პუნქტის შესაბამისად გამოყენებაზე. მასთერქარდი არ გადმოგცემთ სხვა ლიცენზიას (და ამ დოკუმენტით არ გულისხმობს „MFET საქართველოზე“ ან მასთერქარდის ინტელექტუალურ ქონებაზე რაიმე სხვა ლიცენზიას).

12. <u>უკუკავშირი</u>. თანახმა ხართ, რომ თუ მასთერქარდს „MFET საქართველოსთან“ დაკავშირებით მიაწვდით მოსაზრებას ან შენიშვნას, მასთერქარდს უფლება აქვს გამოიყენოს ეს ინფორმაცია და შენიშვნები თავისი შეხედულებისამებრ, რაზეც მასთერქარდს აძლევთ თანხმობას. თქვენი თანხმობა მასთერქარდს საშუალებას მიცემს გამოიყენოს თქვენი შნეიშვნები / ინფორმაცია ნებისმიერი ფორმით, მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას და თქვენ, ან პირი, რომელიც მოსაზრებას / შენიშვნას წარმოადგენს, ვერ შეძლებთ ამ უფლების გაუქმებას. ასევე თანახმა ხართ, რომ მასთერქარდი არ გადაიხდის თქვენი შენიშვნების / ინფორმაციის გამოყენების საფასურს.

13. <u>„MFET საქართველოს“ პლატფორმაზე განთავსებული მასალა</u>. თანახმა ხართ, რომ პლატფორმაზე განთავსებულ მასალას იყენებთ თქვენი შეხედულებისამებრ და რისკით.

14. <u>კანონმდებლობის დაცვა</u>. ვალდებული ხართ დაიცვათ ყველა კანონი, რომელიც ვრცელდება „MFET საქართველოს“ გამოყენებაზე და არ გაქვთ „MFET საქართველოს“ ექსპორტის უფლება აშშ-ს მთავრობის საექსპორტო ლიცენზიის გარეშე. „MFET საქართველოს“ მეშვეობით არ განახორციელებთ რაიმე ტრანზაქციას აშშ-ს მთავრობის,

ასევე უცხოური აქტივების კონტროლის სამსახურის მიერ სანქცირებულ პირებთან ან სუბიექტებთან.

15. კანონები, რომლებიც ვრცელდება „MFET საქართველოზე“. ამ პირობებს არეგულირებს ბელგიის კანონმდებლობა. თანახმა ხართ ამ პირობებთან დაკავშირებული ყველა დავა/საკითხი განსახილველად წარუდგინოთ მხოლოდ ბელგიის სასამართლოებს. პირობები მოცემულია ქართულ ენაზე და მხოლოდ ქართული ვერსიაა მოქმედი და შესასრულებლად სავალდებულო. რომელიმე ენაზე თარგმანი შესრულებულია მხოლოდ დამხმარე მიზნებისთვის.

16. <u>სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია</u>. მხარეები თანხმდებიან, რომ ეს პირობები წარმოადგენს „MFET საქართველოსთან“ დაკავშირებით მხარეებს შორის დადებულ სრულ და ექსკლუზიურ შეთანხმებას. არ გაქვთ უფლება მასთერქარდის თანხმობის გარეშე მოახდინოთ ამ პირობების ან აქ მითითებული თქვენი უფლებების და მოვალეობების გადაცემა, თუმცა ამის უფლება აქვს მასთერქარდს. თუ რომელიმე პირობა ჩაითვლება ბათილად ან შეუსაბამოდ, საჭიროებისამებრ მოქმედებას შეწყვეტს მხოლოდ ასეთი პირობები და ყველა სხვა პირობა სრულად დარჩება ძალაში. მასთერქარდსი მიერ ამ პირობებით გათვალისწინებული უფლებების გამოუყენებლობა ან დაგვიანებით გამოყენება არ ნიშნავს უფლებებზე ან პირობებით გათვალისწინებული დებულებებზე უარს.